სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია უზენაეს სასამართლოში

უზენაეს სასამართლოში უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელებისთვის სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია გაიმართა.

სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა უნიკალური პროდუქტია ქართულ სივრცეში. მისი შექმნისას გათვალისწინებულ იქნა მრავალი თანამედროვე ბიბლიოთეკის გამოცდილება (მაგ: კონგრესის ბიბლიოთეკის, LexisNexis-ის, გუტენბერგის პროექტის და ა.შ.).

სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისათვის. დღეისთვის ბიბლიოთეკას 1300 მეტი მკითხველი ჰყავს.

ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით დაცულია 12000 მეტი იურიდიული ლიტერატურა - წიგნები, ჟურნალები, სტატიათა კრებულები, ვიდეო და აუდიო ფაილები.

უზენაესი სასამართლოს ინიციატივით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა აქტიურ ფაზაში გადავიდა. მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უკვე შეხვდა უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, შეხვედრაზე მომავალი თანამშრომლობის გეგმები განიხილეს. უახლოეს დღეებში კი უზენაეს სასამართლოსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაა დაგეგმილი.

გამამართლებელი განაჩენი და მკაცრი სასჯელი შეყვარებულის მკვლელობისთვის

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ შეყვარებულის მკვლელობისთვის ბრალდებულს 14-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, დანაშაული 2011 წლის 19 სექტემბერს მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, საჩხერის რაიონის სოფელ ლოდორაში მცხოვრებ ფრიდონ ტალახაძეს თანასოფლელ გ. ტ-ს მოკვლის განზრახვა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც შეიტყო, რომ იგი სხვა მამაკაცთან დაქორწინებას აპირებდა. ბრალდებული მსხვერპლს სოფლების - ლონდორასა და ლიჩის დამაკავშირებელ გზაზე ჩაუსაფრდა, სადაც მეზობელ სოფელში პედაგოგად მომუშავე გ. ტ-ს უნდა გაევლო. ტალახაძემ ქალს ჯერ სცემა, შემდეგ კი იქვე გამავალ მდინარე ლოდორულაში დაახრჩო. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მკვლელი მიიმალა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, ფრიდონ ტალახაძე განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და 14 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ კი ქურდობაში ბრალდებული ორი პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, იგორ აფანასენკოსა და პაატა კაშიას ბრალი სოფელ ბაშში მდებარე თევზსაშენი მეურნეობიდან 43 კილოგრამი თევზის ფარულად დაუფლებაში ედებოდათ.

გამოძიების მასალების მიხედვით, ამ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, მეურნეობის მფლობელს 387 ლარის ფინანსური ზიანი მიადგა.

სასამართლო განხილვის დროს დაკითხულმა თევზსაშენი მეურნეობის მფლობელმა კოტე ნაცვლიშვილმა დაადასტურა, რომ ტბორიდან თევზის ამოსაყვანად ბრალდებულებს მისგან ნებართვა აღებული ჰქონდათ.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ, ბრალდების მტკიცებულებების არარსებობის გამო, იგორ აფანასენკოსა და პაატა კაშიას მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.d

ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების მთავარი პირობა

ბოლო პერიოდში ხშირად ისმის საყვედური იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო ბაჟის რაოდენობა საკმაოდ დიდია, რის გამოც, ადამიანები პრობლემის სასამართლოში განხილვაზე უარს ამბობენ. ექპერტთა განცხადებით, სამართლებრივ დავის არსებობის შემთხვევაში მოქალაქის პირველი შეკითხვა სახელმწიფო ბაჟის ოდენობას ეხება და ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა ბაჟის სიდიდიდან გამომდინარე, უარს ამბობენ არსებული პრობლემის სამართლებრივ მოგვარებაზე.

გარდა ამისა, ბაჟის რაოდენობასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებობდა ხარვეზი, უფრო ზუსტად, შეუსაბამობა ორ კანონს შორის, რომელიც ასევე, ხშირად ხდებოდა ბაჟის რაოდენობის განსაზღვრისას, მხარეებს შორის დავის საფუძველი.

საქმე ისაა, რომ "სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონში» ეწერა, რომ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციაში ერთი სასამართლო წარმოებისას არ უნდა აღემატებოდეს: ფიზიკური პირისთვის - 10 000 ლარს, იურიდიული პირისათვის - 15 000 ლარს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში კი, ბაჟის სხვა რაოდენობაა დასახელებული.

ამ ხარვეზის გასასწორებლად პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა კანონპროექტი მოამზადა და "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონში ცვლილებები შევიდა. კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის რაოდენობა ფიზიკური პირისთვის - 3000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის - 5000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ფიზიკური პირისთვის - 5000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის 7000 ლარს, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში კი ფიზიკური პირისთვის - 6000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის - 8000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

კანონპროექტის ინიციატორების განმარტებით, ახალი ინიციატივის მიზანი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონში არსებული წინააღმდეგობების გამომწვევი ხარვეზების აღმოფხვრა.

"აუცილებელია ქვეყანაში გატარდეს ცვლილებები და რეფორმები, სახელმწიფო ბაჟის ოდენობები გადაიხედოს და მიესადაგოს დღევანდელ რეალობას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის მართლსაჯულების ხელმისაწვდომობას. ჩემი ინფორმაციით, ხელისუფლებაში და პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში მუშაობენ აღნიშნულ თემებზე და იმედი მაქვს, რომ უახლოეს პერიოდში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები, - აცხადებს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში, ადვოკატი ლევან ადეიშვილი.

"ნებისმიერ სახელმწიფოში არაგონივრული სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები უპირველესად ზიანის მომტანია ქვეყნის პრესტიჟისთვის, რადგან მოქალაქეებს თუ იურიდიულ პირებს ყოველთვის შეუძლიათ სასამართლოს ხელმისაწვდომობის დარღვევისთვის მიმართონ სტრასბურგის სასამართლოს, რომელსაც ამ საკითხზე მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკა გააჩნია. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო ევროკონვენციაზე დაყრდნობით იცავს განმცხადებლების უფლებას ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების მიღებაზე.

ამასთან, არაგონივრული სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები, სახელმწიფოსთვის წამგებიანი შეიძლება იყოს იმიტომაც, რომ თუ მოქალაქეს შეეზღუდა სამართლებრივი გზით დავის გადაწყვეტის შესაძლებლობა, იგი აუცილებლად შეეცდება არასამართლებრივი გზებით მოაგვაროს საკუთარი პრობლემები, რისი მაგალითებიც საქართველოში მრავლად იყო და მისი განმეორება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ. ამაზე, თავის მხრივ, საკანონმდებლო ორგანომ უნდა იზრუნოს, კიდევ უფრო გონივრული სახელმწიფო ბაჟის დაწესებით საქართველოში ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მართლმსაჯულება," - აცხადებს ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი, რომლის თქმითაც, მიუხედავად არსებული სიტუაციისა, საბოლოო ჯამში, მოსახლეობა პრობლემის სამართლებრივი გზით მოგვარებას ანიჭებს უპირატესობას და ამის დასტური სასამართლო დავების გაზრდის სტატისტიკაა.

"მიუხედავად იმისა, რომ დავების რიცხვი სასამართლოებში არ კლებულობს, უმჯობესი იქნება განაკვეთების კიდევ უფრო ქვემოთ დაწევა, რათა მოდავე მხარეს დავის საგანზე უფრო ძვირი არ დაუჯდეს სასამართლოსთვის მიმართვა. დარწმუნებული ვარ, კანონმდებლები ამ საკითხით დაინტერესებული არიან, - აცხადებს ირაკლი ყანდაშვილი.

ხელვაჩაურის სასამართლომ იმიტირებულ პროცესებს უმასპინძლა

2011 წლის 29 ნოემბერს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ამავე სასამართლოს სტაჟიორთა მიერ ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესი. იმიტირებული სასამართლო სხდომის მიზანი იყო სტაჟიორთა მიერ სასამართლოში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ სიტუაციაში გამოყენება და აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება. იმიტირებული სასამართლო სხდომაში მონაწილე პირები (მოსამართლე, სხდომის მდივანი, მოსარჩელე, მოპასუხეები და მოწმეები) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სტაჟიორები იყვნენ.

იმიტირებულ სასამართლო სხდომაზე დავის საგანი იყო სამეზობლო დავა, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ იქნა გადაწყვეტილი.

სასამართლო სხდომაზე მოწვეული სტუმრები (ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მენეჯერი, შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორები) ერთმნიშვნელოვნად განმარტავდენ, რომ იმიტირებული სასამართლო სხდომა მნიშვნელოვანი იყო სტაჟიორთა უნარ ჩვევების ასამაღლებლად და იგი ჩატარდა უნაკლოდ.

ამასთან სასამართლო სხდომა ჩატარდა სასამართლოში უკვე დანერგილი აუდიო სისტემის გამოყენებით.

სასამართლოს ქრონიკა
5 დეკემბერი, 2011 წელი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეორე სხდომა

თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეორე პროცესი გაიმართება. უფრო ზუსტად, მალე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა გაიმართება, რის შემდეგაც ნაფიც მსაჯულთა ჟიური სამი წლის წინ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის საქმეს განიხილავს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანამედროვე ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში პირველად ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესი დადებითად შეაფასა. კონსტანტინე კუბლაშვილი უზენაეს სასამართლოში იმ 15 ნაფიც მსაჯულს შეხვდა, რომლებმაც გასულ კვირას 17 წლის წინ მომხდარ დანაშაულის თანამონაწილეობაში ბრალდებულ რევაზ დემეტრაშვილს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თქმით, მასთან საუბრისას ნაფიცმა მსაჯულებმა აღნიშნეს, რომ "საათები, რომელიც მსაჯულებმა ვერდიქტზე მსჯელობაში გაატარეს, უაღრესად დაძაბული იყო".

"მე მაინტერესებდა მათი დამოკიდებულება და შეფასებები სასამართლოსთან დაკავშირებით. მათ როგორც სასამართლოს ტექნიკური, ასევე პროცესუალური მხარეები დადებითად შეაფასეს. მე მათი საქმისადმი დამოკიდებულებით და მუშაობით კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება მათ მიმართ გამოტანილ ვერდიქტს მე ვერ შევაფასებ, რადგან ეს საზოგადოების გადაწყვეტილებაა," - განაცხადა კოტე კუბლაშვილმა, რომელმაც გაწეული შრომისთვის მადლობა მედიასაც გადაუხადა და აღნიშნა, რომ: **"მედიამ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესები ისე გააშუქა, რომ ნაფიც მსაჯულთა მუშაობისთვის ხელი არ შეუშლია".**

12-მა ნაფიცმა მსაჯულმა 17 წლის წინ მინასიანების ოჯახში მომხდარი მკვლელობებისა და ყაჩაღობის საქმე განიხილეს და გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს.

ნაფიც მსაჯულთა ვინაობა მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ გახურებულა. თუმცა, ცნობილია, რომ მათგან 6 მამაკაცი იყო, 9 კი - ქალი, 12 - უმაღლესი, 2 - საშუალო, 1 კი საშუალო ტექნიკური განათლების მქონე.

ნაფიცი მსაჯულებიდან 6 35-დან 40 წლამდე ასაკის იყო, 2 - 41-დან 50 წლამდე ასაკის, 6 - 50-დან 60-მდე, 1 კი - 61-დან 65-მდე.

ნაფიცი მსაჯულებიდან 12 დასაქმებული გახლდათ, 3 კი - უმუშევარი.

განქორწინების ახალი წესები

კანონპროექტი, რომელიც იურიდიული კომიტეტის მიერაა მომზადებული, იმ პირებს დააინტერესებთ, რომლებსაც განქორწინების პრობლემა აქვთ. საკანონმდებლო ორგანო "სამოქალაქო აქტების" შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს განიხილავს, რომლის მიხედვითაც, პირს მეორედ ქორწინება პრაქტიკულად განქორწინების გარეშე შეეძლება.

უფრო ზუსტად, მარტივდება განქორწინების წესები და შემოდის ახალი ნორმა, რომლის თანახმად, პირველი ქორწინების შეწყვეტა მეორე ქორწინების რეგისტრაციის დროს გახდება შესაძლებელი.

მართალია, კანონპროექტში გადადის მოქმედი ნორმა, რომლის მიხედვით, ქორწინება წყდება განქორწინების რეგისტრაციის დღიდან. თუმცა, კანონპროექტი, მოქმედი კანონისგან განსხვავებით, ითვალისწინებს გამონაკლის ნორმასაც. კერძოდ, თუ პირი პირველი ქორწინების შეწყვეტის გარეშე დაქორწინდა ხელმეორედ, მაშინ მეუღლეთა ერთობლივი მოთხოვნით წინა ქორწინება, მომდევნო ქორწინების რეგისტრაციის დღიდან შეიძლება ჩაითვალოს შეწყვეტილად.

კანონპროექტით, თუ პირს რამდენიმე ქორწინების აქტის ჩანაწერი გააჩნია, მასზე შემდგომი ქორწინების მოწმობა არ გაიცემა, ხოლო ერთ-ერთი ქორწინების ბათილად ცნობამდე, ნამდვილ გვარად ბოლო ქორწინებით მინიჭებული გვარი ჩაითვლება.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი: **"ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს არაერთი შემთხვევა, როცა ქორწინებაში მყოფი პირი ხელმეორედ წინა ქორწინების შეწყვეტის გარეშე ქორწინდება და იცვლის გვარს, აღნიშნული კი პირის ნამდვილი მონაცემების დადგენას შეუძლებელს ხდის."**

"სამოქალაქო აქტების" შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს ასევე, ნაპოვნი ბავშვის რეგისტრაციის წესის შეცვლასაც.

მოქმედი კანონით ბავშვის პოვნის თაობაზე განცხადება პოლიციის ტერიტორიულ ორგანოში უნდა წარდგენილიყო, რის შემდეგაც, პოლიციის ტერიტორიული ორგანო ადგენდა ბავშვის დაბადების სავარაუდო დროს, ადგილს, აძლევდა მას სახელს და გვარს და რეგისტრაციის მიზნით, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს აწვდიდა.

კანონპროექტით კი, ნაპოვნის ბავშვის რეგისტრაციისთვის პოლიციის ტერიტორიული ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულება უქმდება. ნაპოვნი ბავშვის დაბადების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა მიმართოს. შესაბამისად, ნაპოვნი ბავშვის სახელის, გვარის, დაბადების სავარაუდო თარიღსა და ადგილის განსაზღვრაც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კომპეტენცია იქნება.

საკუთარი ინფორმაცია

სემინარი სამოსამართლო ეთიკაზე და დისციპლინურ სამართალწარმოებაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სამოსამართლო ეთიკაზე და დისციპლინურ სამართალწარმოებაზე სემინარი ჩატარდა.

სემინარი USAID-ის მიერ დაფინანსებული «მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების" (JILEP) პროექტის მიერ იყო ორგანიზებული.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცნობით, სემინარში მონაწილეობდნენ კალიფორნიის შტატის მოსამართლეთა დისციპლინური კომისიის აღმასრულებელი დირექტორი - ვიქტორია ჰენლი და JILEP-ის სასამართლო რეფორმის ექსპერტი - ინგა თორდია.

სემინარს ესწრებოდნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი - კახა კობერიძე, სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის უფროსი - გიორგი მიროტაძე, ამავე დეპარტამენტის თანამშრომლები.

ვიქტორია ჰენლიმ სემინარის მონაწილეებს გააცნო დისციპლინური სამართალწარმოების წესები კალიფორნიის შტატში და ზოგადად ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასევე იმსჯელეს საქართველოში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ.

გამოითქვა მოსაზრებები დისციპლინური სამართალწარმოების შემდგომ სრულყოფასა და ამ პროცესის მეტი საჯაროობის თაობაზე.

ცვლილება "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში

სასამართლოს აპარატში მუშაობის დაწყებისთვის მოთხოვნები მკაცრდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში შედის. პროექტის განხილვა პარლამენტში მომავალი კვირიდან დაიწყება.

მომზადებული ცვლილების თანახმად დგინდება სასამართლოს აპარატის იმ მოხელის შერჩევის ახლებური წესი, რომლის ფუნქციები პირდაპირ არის დაკავშირებული სასამართლოში სამართალწარმოების განხორციელებასთან.

კანონპროექტით დგინდება, რომ სასამართლოს აპარატის მოხელედ, რომლის ფუნქციები პირდაპირ არის დაკავშირებული სასამართლოში სამართალწარმოების განხორციელებასთან, შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც, როგორც წესი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას, გავლილი აქვს ერთ წლამდე ანაზღაურებადი სტაჟირება საერთო სასამართლოში და სპეციალური სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

კანონპროექტის მიხედვითვე, სასამართლოს აპარატის მოხელედ დანიშვნისთვის პირი სტაჟირების ან სპეციალური სასწავლო კურსის გავლისგან გათავისუფლდება, თუ კონკრეტულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. კერძოდ, თუ აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად ან ადვოკატად მუშაობის არა ნაკლებ ერთი წლის გამოცდილება; ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა; აქვს იურიდიული სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი ან აქვს სასამართლოში სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი.

ასევე, პირი გათავისუფლდება სპეციალური სასწავლო კურსის გავლის ვალდებულებისგან, თუ გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სპეციალური სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

"საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში ახალი ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მიღება ფასიანი გახდება. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს იმას, რომ გამოცდაში მონაწილეობის მსურველი პირი გამოცდის ჩაბარებას მეტი პასუხისმგებლობით მიუდგეს.

დღემდე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ პირს, რომელსაც დამთავრებული აქვს იურდიული ფაკულტეტი. ამის გამო, ხშირად გამოცდაზე ასობით დიპლომიანი იურისტი გადიოდა, თუმცა გამოცდის ჩასაბარებლად დადგენილი ბარიერის გადალახვას, მხოლოდ რამდენიმე მათგანი ახერხებდა.

სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას კონფერენცია მიეძღვნა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" კონფერენცია გახსნა.

კონფერენცია საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის მხარდაჭერით გაიმართა.

კონფერენცია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო პროგრამის შექმნასა და ამ გადაწყვეტილებების პრაქტიკაში გამოყენებას მიეძღვნა.

მსგავსი თემატიკის განხილვას სასამართლო ხელისუფლების მხრიდან უკვე რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა მიეძღვნა. აღნიშნულ კონფერენციაზე გამომსვლელებმა სასამართლო გადაწყვეტილებების სამეცნიერო წრეებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისთვის და საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომობის საკითხები განიხილეს.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.